14/08/2026

MES 7 26 0001052222

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 31.07.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:00
სხდომის დამთავრების დრო: 14:45
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ლევან შავაძე – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო ხოლუაშვილი – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;
4. ქეთევან აფთარაშვილი – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. პეტრე ბაბილუა – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. მარიამ ხოფერია – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. მარინე რუხაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

8. ვალერიან გობრონიძე – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. შალვა კელეპტრიშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
10. ლია სანოძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
11. ხათუნა ლომაური – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
12. ინგა დიასამიძე – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ავთანდილ თავხელიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
14. მაია ბარბაქაძე – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
15. ფრიდონ გოგიაშვილი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
16. თინათინ გოგნაძე – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
17. თამარ მერაბიშვილი – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
18. თეა ნარეკლიშვილი – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
19. ლევან ციცქიშვილი – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20. გიორგი წანაწყენიშვილი – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
21. ეკატერინე ჭალაგანიძე – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
22. თამარ ხურცილავა – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
23. დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
- ქეთევან ხიზანიშვილი - თარჯიმანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:

- რეზო ვასაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

- ნინო საყვარელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ქეთევან გივიშვილი - ანალიტიკის და ხარისხის განვითარების განყოფილების უფროსი;
- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- მაია თევზაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- მიხეილ გიორგაძე - განათლების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მზაღო დოხტურიშვილი - პროფესორ-ემერიტუსი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია:

- პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე - აკადემიის მეთაურის მოადგილე;
- თამარ რემიშვილი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- ბაკალავრიატის ხელმძღვანელის მ/შ - ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე;
- პროგრამის ხელმძღვანელი - პროფესორი რომეო გალდავა;
- სოფიო ფაჩულია - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი;
- ნანა მდინარაძე- ბაკალავრიატის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი:

- გიორგი ხუროძე - უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
- ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - უნვერსიტეტის პიველი ვიცე-პრეზიდენტი
- ქეთევან ხუროძე - უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტი ადმინისტრაციული და ფინანსური მიმართულებით.
- ავთანდილ გაგნიძე - ვიცე-პრეზიდენტი სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების მიმართულებით.
- ანი ბარისაშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის სპეციალისტი
- დავით ბურჯანაძე - უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი
- ლელა ვანიშვილი - უნივერსიტეტის ატუდენტთა მიღების, მომსახურებისა და კარიერული განვითარების სამსახურის უფროსი
- მაგდა ლორთქიფანიძე - სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი.
- მარიამ გელაშვილი - უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი
- მარიამ ხორავა - ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულების ადმინისტრაციული მენეჯერი
- ნინო შარაშენიძე - მედიცინის სკოლის დეკანი
- თიკო ბაჯელიძე - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი
- ლიკა ობგაიძე - უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.
- ნინო ცომაია - ფინანსური სამსახურის უფროსი
- ეკატერინე ნაცვლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

- რუსუდან სეთურიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

- დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- სალომე გავაშელიშვილი - ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი;
- ელენე ჯღარკავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო ჟიჟილაშვილი - ფაკულტეტის ხელმძღვანელი;
- გიორგი სალუქვაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნა მგალობლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- JD Jayraman – NJCU პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

შპს ალტე უნივერსიტეტი:

- ირმა გრძელიძე - ვიცე-პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით;
- ანი ამირანაშვილი - ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით;
- თამარ მახარაძე - ვიცე-პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით;
- ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- ირმა ნოზაძე - პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი;
- ლაშა მაჭარაშვილი - შეფასებების სამსახურის უფროსი;
- სოფიო იდაძე - ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი;
- ილია ბოცვაძე - ბიზნესის სკოლის დეკანი;
- მაია მელიქიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- ირმა ქურდაძე - I საკითხი;
- სოფიო იდაძე - I საკითხი;
- კოსტას მანტზალოსი - I I საკითხი;
- გიორგი ნიკურაძე - I I საკითხი;
- თამარ ძველაია - I I საკითხი;
- თამთა ლეკიშვილი - I I საკითხი;
- გიორგი მერაბიშვილი - I I საკითხი;
- ნინო პოპიაშვილი - I I I საკითხი;
- მაია ჩქოტუა - I I I საკითხი;
- თეონა დადუნაშვილი - I I I საკითხი;
- სოკრატის კათსიკას - IV საკითხი;
- მარინა რაზმაძე- IV საკითხი;
- ნინო პატარაია- IV საკითხი;
- გიორგი მხეიძე - IV საკითხი;
- სეიფედინ კადრი - V და VIII საკითხები;
- მიხეილ რუხაია - V საკითხი;
- თინათინ გაბრიჩიძე - V საკითხი;
- ალექსანდრე კალანდაძე - V საკითხი;
- სტეფან ვეიტი - VI საკითხი;

- ეკა გეგეშიძე - VI საკითხი;
- ეკა ლეკაშვილი - VI საკითხი;
- თამთა ლეკიშვილი - VI და VII საკითხები;
- ეკა აბჟანდაძე - VI საკითხი;
- თინათინ გაბრიჩიძე - VI საკითხი;
- ნინო ჯოლია - VI საკითხი;
- თამარი რაზმაძე - VII საკითხი;
- ანა შანშიაშვილი - VIII საკითხი;
- თამთა ცხოვრებაძე - VIII და IX საკითხები;
- თამარ თხელიძე - VIII საკითხი;
- ელენე ჯღარკავა - IX საკითხი;
- გიორგი მხეიძე - IX საკითხი.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ და „გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ბიზნესის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "გლობალური მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის საინფორმაციო სისტემების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ლიდერობა და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "გლობალური მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "ბიზნესის ანალიტიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
კი
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ და „გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ბიზნესის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "გლობალური მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის საინფორმაციო სისტემების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ლიდერობა და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "გლობალური მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "ბიზნესის ანალიტიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
8. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის - NJCU (აშშ) "მედიახელოვნების" 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
9. შპს ალტე უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სატყეო საქმე;
საფეხური - სამაგისტრო;
სწავლების ენა - ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - I - სატყეო საქმის მაგისტრი; II - კვლევის მაგისტრი სატყეო საქმეში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0821 მეტყევეობა;
კრედიტების რაოდენობა - 120 კრედიტი; I - 60 კრედიტი; II - 60 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი
თვითაცილება განაცხადა ინგა დიასამიძემ - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტის სტატუსით მონაწილეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ გარემოში. მან საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადეს რომ ეთანხმებიან დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართასაბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა შალვა კელაპრტიშვილმა, კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა იყო 120 კრედიტიანი, ძველი სტრუქტურის. მას აინტერესებდა შეცვალა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის სტრუქტურა კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ გადაიყვანა თუ არა 1+1 ნაწილზე. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდშიც ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვა, მარგამ რადგან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 ივლისამდე მათ ჯერ არ ჰქონდათ მუშაობა დასრულებული შეცვლილ პროგრამაზე. თუმცა მიმდინარე ეტაპისათვის პროგრამა მოდიფიცირებულია 1+1 ნაწილად.
საბჭოს წევრმა, ლევან ციცქიშვილმა კითხვით მომართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით. ას აინტერესებდა გააჩნდა თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებას ლაბორატორიული რესურსი, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის.
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა პრაქტიკა გაიარონ პრაქტიკის ობიექტებთან სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოში და სააგენტოს დაქვემდებარებულ სატყეო ადმინისტრაციებში (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი), დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებულ სამსახურებში, როგორიცაა მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახლის ეროვნული პარკი, მაჭახელას დაცული ლანდშაფტი, გამწვანების სამსახურები და სხვა, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, მათში აღწერილია თანამშრომლობის მიზანი და მხარეთა უფლებება-მოვალეობები, მათ შორისო მათ ბაზაზე არსებული ლაბორატორიული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით. განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა. სასწავლო პრაქტიკის საერთო კოორდინაციას ახორციელებს უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ხოლო სასწავლო პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც ზედამხედველობას უწევს და აფასებს სტუდენტის პრაქტიკულ საქმიანობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:30
დასრულების დრო: 11:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "სატყეო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ:
სტანდარტის 1.2 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და შედეგების რუკა ინგლისური ენის სასწავლო კურსთან მიმართებით", შედეგად, სტანდარტის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", აღნიშნულს არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
სტანდარტის 1.5 კომპონენტში დაამატა შემდეგი რეკომენდაციები: „რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში პრაქტიკა სატყეო საქმეში და სამაგისტრო ნაშრომი დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები" და „რეკომენდებულია პროგრამაში და სილაბუსში მითითებული უცხო ენის დონე დაზუსტდეს მიღების წინაპირობების გათვალისწინებით, აგრეთვე დაზუსტდეს ძირითადი ლიტერატურა", აღნიშნულს არ გამოუწვევია 1.5 კომპონენტის და პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.

2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ და „გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - გრაფიკული დიზაინი;
საფეხური - ბაკალავრიატი;
სწავლების ენა - ქართული;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
კრედიტების რაოდენობა - 180 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - გრაფიკული დიზაინი;
საფეხური - ბაკალავრიატი;
სწავლების ენა - ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
კრედიტების რაოდენობა - 180 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, კოსტას მანტზალოსმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებაში ვიზიტით 25–26 მარტს იმყოფებოდა. ვიზიტი განხორციელდა განათლების ცენტრის მიერ დადგენილი ყველა პროცედურის სრული დაცვით. ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამა ეფუძნება პროცესზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო

ფილოსოფიას და წარმოადგენს თანმიმდევრულ, თანამედროვე კურიკულუმს, რომელიც ასახავს შემოქმედებით ინდუსტრიაში მიმდინარე სიახლეებსა და პროფესიულ მოლოდინებს. კურიკულუმი წარმატებით აერთიანებს დიზაინის ტრადიციულ პრინციპებსა და თანამედროვე შემოქმედებით პრაქტიკას. ამასთანავე, იგი იყენებს ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელსაც აქვს პოტენციალი, კურსდამთავრებულებს შესძინოს ფართო და ადაპტირებადი ცოდნა და განუვითაროს შესაბამისი პროფესიული უნარები. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კურიკულუმის ლოგიკური თანმიმდევრობის უზრუნველყოფა, სწავლის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბება და პროგრამის სისტემატური გადახედვა უმნიშვნელოვანესია პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების სრულად რეალიზებისა და მათი გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. საბაკალავრო პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა სამი რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თეა ნარეკლიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მას აინტერესებდა, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, ეროვნული გამოცდების შედეგების გარდა, ხომ არ იყო გათვალისწინებული გასაუბრების ან მსგავსი დამატებითი კომპონენტის გამოყენება, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებულ ხედვას მოითხოვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან გივიშვილმა, განმარტა, რომ სურდა თარგმანში დაფიქსირებული რამდენიმე უზუსტობის დაზუსტება. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ინსტიტუციისთვის პარტნიორი ორგანიზაციების ქსელისა და გაფორმებული მემორანდუმების ჩამონათვალის გაფართოებას ეხებოდა. თუმცა, თარგმანში, და შესაძლოა ინგლისურენოვან ორიგინალშიც, რეკომენდაცია ფორმულირებული იყო როგორც „პროგრამის განვითარება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად“, რაც, მისი შეფასებით, უფრო ფართო შინაარსის რეკომენდაციას წარმოადგენს. ქეთევან გივიშვილის განმარტებით, შემდეგი რეკომენდაცია კომპიუტერული ლაბორატორიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის შემდგომ განვითარებას ეხება. მისი თქმით, ფორმულირებიდან გამომდინარე, არსებული რესურსების პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციაა და, დაწესებულების მოსაზრებით, აღნიშნული უფრო მეტად რჩევის ხასიათს უნდა ატარებდეს. რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებულ კითხვას, ქეთევან გივიშვილმა განმარტა, რომ ორივე კლასტერში წარმოდგენილ პროგრამაში, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში, ცალსახად არის მითითებული, რომ ეროვნულ გამოცდებთან და №224 ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად, სტუდენტებს მოეთხოვებათ შემოქმედებითი ტურის გადალახვა. აღნიშნული კომპონენტი მოიცავს კონკრეტულად პორტფოლიოსა და დავალებას. მისი თქმით, ეს მოთხოვნა დოკუმენტურად არის დაფიქსირებული და შესაბამისი მეთოდოლოგიაც ცალკე არის წარმოდგენილი. ექსპერტები აღნიშნულ საკითხს გაეცნენ და დასკვნაშიც ვრცლად არის განხილული, რომ პროგრამაზე დაშვების არსებული გზა სრულად ადეკვატურია აღნიშნული პროგრამისთვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულია დასკვნის 42–44-ე გვერდებზე, სადაც ექსპერტები პირდაპირ მიუთითებენ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. მისი თქმით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუგებრობას იმასთან დაკავშირებით, თითქოს პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში დაშვების წინაპირობებთან მიმართებით რაიმე დანაკლისი არსებობდეს. ამასთან, არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებს არქიტექტურის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ასევე არსებობს მსგავსი პრაქტიკა - ეროვნული გამოცდების შედეგებთან ერთად დამატებითი შემოქმედებითი ტურის მოთხოვნა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო საყვარელიძემ, განმარტა, რომ პირველი რეკომენდაცია, რომელიც მემორანდუმებთან იყო დაკავშირებული, დაწესებულების მიერ, რა თქმა უნდა,

გაზიარებულია. მისი თქმით, პარტნიორი ორგანიზაციების ქსელი გაფართოვდება და მემორანდუმებიც დაზუსტდება. თუმცა, თითოეული პრაქტიკის დაწყების წინ ისედაც ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი პირობა. რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ნინო საყვარელიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაშიც არის მითითებული, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და რესურსები სრულად აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება აუცილებლად განაახლებს ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც უნივერსიტეტისთვის უწყვეტი პროცესია. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ინგლისურენოვან პროგრამას ეხება, ნინო საყვარელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციასაც სრულად იზიარებს და ეტაპობრივად იზრუნებს ინგლისურენოვანი პროგრამის აკადემიური პერსონალის გაძლიერებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დროულად მოძიებაზე. არჩილ ჯანგირაშვილმა დამატებით განმარტა, თუ რატომ მიაჩნია დაწესებულებას, რომ ტექნიკურ აღჭურვასთან დაკავშირებული რეკომენდაცია უფრო მეტად რჩევის ხასიათს უნდა ატარებდეს. მისი განმარტებით, ტექნოლოგიური განვითარება სწრაფად და მუდმივად იცვლება და ის, რაც დღეს აქტუალურია, შესაძლოა მომდევნო წელს აღარ იყოს აქტუალური. აღნიშნული ცვლილებების წინასწარ პროგნოზირება არა მხოლოდ ერთი ინსტიტუციისთვის, არამედ ასობით ინსტიტუციისთვისაც კი რთულია. მისი თქმით, ამ ეტაპზე, სტუდენტების მისაღებად, დაწესებულებას გააჩნია ყველა საჭირო აღჭურვილობა და შესაძლებლობა, რომელიც დღეს არსებულ მოთხოვნებსა და აქტუალურობას პასუხობს. ამასთან, საქართველოს უნივერსიტეტს, თავისი წარსული გამოცდილებისა და არსებული პროგრამების საფუძველზე, აქვს შესაბამისი პრაქტიკა და გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინოს გარემოსა და ტექნოლოგიური განვითარების ცვლილებებთან ადაპტირება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:59
დასრულების დრო: 12:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2030).
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2030) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.

2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ფრანგული ენა);

საფეხური - მასწავლებლის მომზადება;

მოდული - ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)

სწავლების ენა - ქართული;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - არ ენიჭება;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - არ აქვს;

კრედიტების რაოდენობა - 60 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

თვითაცილება განაცხადა ავთანდილ თავხელიძემ დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელსეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტის, ნინო პოპიაშვილის განმარტებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამა ახალია, თუმცა, ამავდროულად, იგი გარკვეული ტრადიციის გაგრძელებასაც წარმოადგენს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ფრანგული ენის მიმართულებით დახვდა პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც აღნიშნული პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს. ნინო პოპიაშვილის განცხადებით, ექსპერტებმა პროგრამა ადგილზე შეისწავლეს და დეტალურად გაეცნენ მის შინაარსს. ამასთან, მათ დამატებით გამოითხოვეს შესაბამისი დოკუმენტაცია, ვინაიდან გარკვეული საკითხების დაზუსტების საჭიროება გამოიკვეთა. პროგრამა 60 კრედიტის მოცულობისაა. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ერთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა. დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას დაეთანხმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა არ გამოთქვა დამატებითი მოსაზრების წარდგენის სურვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:07
დასრულების დრო: 12:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/09/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების (ფრანგული ენა)" საგანმანათლებლო მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 სექტემბრამდე.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.

2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მეოთხე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კიბერსივრცის ოპერაციები და ინფორმაციის უსაფრთხოება;

საფეხური - ბაკალავრიატი;

სწავლების ენა - ქართული;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კიბერუსაფრთხოების ბაკალავრი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;

კრედიტების რაოდენობა - 240 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

კი

თვითაცილება განაცხადა მაია ბარბაქაძემ დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოკრატის კათსიკასმა, განმარტა, რომ თავდაცვის სამინისტროს ეროვნული აკადემიის მიერ შეთავაზებული აღნიშნული პროგრამა ახალია და აპლიკანტებს პირველად სთავაზობენ. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს პროგრამასთან დაკავშირებით

რეკომენდაციები არ ჰქონდა და, შესაბამისად, დაწესებულებას მხოლოდ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევები და შეთავაზებები გაუზიარა. სოკრატის კათსიკასმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება ერთი წლის განხორციელების დასრულების შემდეგ, როდესაც დაგროვილი გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე მისი დამატებითი განვითარების საჭიროებები გამოიკვეთება. მისი განცხადებით, პროგრამა სრულად შეესაბამება ყველა შესაბამის სტანდარტსა და ქვესტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დასკვნის მიღების შემდგომ ცენტრში წარადგინეს თავიანთი საბოლოო არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც სრულად და უცვლელად არის ასახული აღნიშნულ ტექსტში: „საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომელიც ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას, ისე ინსტიტუციური განვითარების შემდგომ გაძლიერებას. ამ პროცესში თქვენი პროფესიონალიზმი, გამოცდილება და მიუკერძოებელი შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეროვნული თავდაცვის აკადემიის სახელით მსურს გულწრფელი მადლიერება გამოვხატო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიმართ იმ კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რომელიც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კიბერსივრცის ოპერაციები და ინფორმაციის უსაფრთხოება“ აკრედიტაციის პროცესში გამოავლინეთ. ამასთანავე, განსაკუთრებულ პატივისცემას გამოვხატავთ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიმართ. დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის კიდევ უფრო გაძლიერებასა და განვითარებაში. და ბოლოს, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კიბერსივრცის ოპერაციები და ინფორმაციის უსაფრთხოება“ დასკვნასთან დაკავშირებით აკადემიას დამატებით მოსაზრებები არ აქვს.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:29
დასრულების დრო: 12:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და

შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე.
დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მეხუთე საკითხი: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში;
საფეხური - მაგისტრატურა;
სწავლების ენა - ინგლისური;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - I - კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი; II - კვლევის მაგისტრი კომპიუტერული მეცნიერებაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
კრედიტების რაოდენობა - 120 კრედიტი, I - 60 კრედიტი; II - 60 კრედიტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ კადრიმ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამასთან დაკავშირებით რამდენიმე რეკომენდაცია გასცა. პირველი რეკომენდაცია ეხება 1.3 ქვესტანდარტს, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს შეეხება. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, ასევე მათი ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლება არსებული შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ. მეორე რეკომენდაცია ეხება 4.4 ქვესტანდარტს, რომელიც მატერიალურ რესურსებს შეეხება. რეკომენდაციის თანახმად, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც

სავალდებულო, ისე დამხმარე სასწავლო მასალა, რომელიც მუდმივად განახლებული იქნება და სრულად შეესაბამება სფეროს თანამედროვე განვითარებას. 5.1 ქვესტანდარტთან, რომელიც შიდა ხარისხის შეფასებას ეხება, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარებაში უფრო აქტიური და ინტენსიური ჩართულობის უზრუნველყოფის შესახებ. ამასთან, რეკომენდებულია პროგრამის პერსონალის მიერ პროგრამის შინაარსის უკეთ გაცნობის უზრუნველყოფა. რაც შეეხება 5.3 ქვესტანდარტს, რომლის სახელწოდებაა „პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა“, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა შესაბამისი ინსტრუმენტი სრულად უნდა იქნეს გამოყენებული. მათ შორის, რეკომენდებულია ე.წ. „ბენჩმარკინგის“, შედარებითი ანალიზისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების უფრო დეტალური ანალიზის განხორციელება. რაც შეეხება რჩევებს, ექსპერტთა ჯგუფმა რჩევა უშუალოდ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით წარმოადგინა. უნივერსიტეტს აქვს ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა, ხოლო განსახილველი პროგრამა ორწლიანია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა რჩევის სახით აღნიშნა, რომ სასურველია თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დონე საჯაროდ გამოქვეყნდეს დაწესებულების ვებგვერდზე, რათა მკაფიოდ გაიმიჯნოს პროგრამის პირველი და მეორე წლების სწავლის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ალექსანდრე კალანდაძემ აღნიშნა, რომ, როგორც შეფასებაში დააფიქსირა, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია და პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში 1+1 სამაგისტრო პროგრამის მოდელით არის გათვალისწინებული. მან ასევე განმარტა, რომ პროგრამის დოკუმენტიდანაც იკვეთება, რომ ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევა პროგრამის პირველი ნაწილის ფარგლებში გაღრმავების დონეზე ხორციელდება და სტუდენტს შესაბამისი კომპეტენციების განმტკიცების შესაძლებლობა მხოლოდ მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელებისა და მისი დასრულების შემთხვევაში აქვს. მისი შეფასებით, ბუნდოვანია, რა კომპეტენციებს უნდა მიაღწიოს კურსდამთავრებულმა პროგრამის პირველი ნაწილის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, იმ მოცემულობაში, როდესაც მას აღნიშნული ნაწილის დასრულების საფუძველზე კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა აქვს. ამ თვალსაზრისით, მკაფიოდ არ ჩანს, რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა შეიძინოს სტუდენტმა პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ. ამასთანავე, მკაფიოდ არ იკვეთება პროგრამის მიზნებისა და მისი თითოეული ნაწილის ურთიერთმიმართება. ალექსანდრე კალანდაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის თითოეულ ნაწილს დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ღირებულება და ფუნქცია აქვს, თუმცა ამ თვალსაზრისით ნათლად არ არის განსაზღვრული, რომელი მიზნები მიემართება პროგრამის თითოეულ ნაწილს. მისი შეფასებით, ერთი შეხედვით, პროგრამა ძველი მოდელის შესაბამისად არის შექმნილი, ეტაპობრივად პროგრესირებადი კომპეტენციებით, თუმცა ამავდროულად ითვალისწინებს შუალედური კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მან მიზანშეწონილად მიიჩნია რამდენიმე რეკომენდაციის გაცემა, კერძოდ, პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით, თუკი საბჭო ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია იმ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინება, რომლებიც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ მოისურვებენ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელებას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, სტუდენტებს გარკვეული კომპეტენციური დანაკლისი ჰქონდეთ, ვინაიდან პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის გაცნობა და გაღრმავებულ დონეზე მიღწევა სწორედ პირველი ნაწილის ფარგლებში ხორციელდება. ასეთ სტუდენტებს პრაქტიკულად არ ექნებათ გავლილი აღნიშნული პროგრამის პირველი ნაწილი და, შესაბამისად, კომპეტენციების თვალსაზრისით შესაძლოა გარკვეული დანაკლისი ჰქონდეთ. აღნიშნულმა გარემოებამ, თავის მხრივ, შესაძლოა დამატებითი კითხვები წარმოშვას

კვლევის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოვლენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დასკვნის მიღების შემდგომ ცენტრში წარადგინეს თავიანთი საბოლოო არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც სრულად და უცვლელად არის ასახული აღნიშნულ ტექსტში: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტში შემოსული 2026 წლის 22 ივლისის №960051 წერილის საფუძველზე, წარმოგიდგენთ "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" („AI in Business“) ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებებით (ბრძანება №89/ნ და ბრძანება
№88/ნ) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განახლებულ/დაზუსტებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებას და შესაბამის კოდს:
1. სწავლის სფეროს კოდი: 0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება
მისანიჭებელი კვალიფიკაციები:
Master of Computer Science / კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი (სწავლების პირველი ნაწილის დასრულების შედეგად);
Master of Research in Computer Science / კვლევის მაგისტრი კომპიუტერულ მეცნიერებაში (სწავლების მეორე ნაწილის დასრულების შედეგად).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წერმა, ქეთევან აფთარაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და სთხოვა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია უფრო მკაფიოდ გამოეთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში განსაზღვრულია, რა შედეგებზე უნდა გავიდეს სტუდენტი პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებისას და რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ განმარტა, რომ, როდესაც საუბარია 60-კრედიტიან პროგრამებზე, უფრო სწორად, პროგრამის ნაწილებზე და არა დამოუკიდებელ პროგრამებზე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ერთიანი პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია პირველი და მეორე ნაწილები. მისი თქმით, დამოუკიდებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ გულისხმობს, რომ აღნიშნული ნაწილები აუცილებლად დამოუკიდებელ პროგრამებად უნდა განიხილებოდეს. ეს არის პროგრამის პირველი ნაწილი. დავით ბურჯანაძის განმარტებით, დაწესებულებას 20 თებერვლის №20 ბრძანებასთან დაკავშირებით ცენტრთან რამდენიმე თვის განმავლობაში ჰქონდა კონსულტაციები. აღნიშნულ შეხვედრებზე მკაფიოდ იყო მითითებული, რომ არსებული ფორმით წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკმარისი იყო და სწორედ ეს მოდელი მოქმედებს უმეტეს დაწესებულებებში. შესაბამისად, დაწესებულებამაც აღნიშნულ პრინციპს მიჰყვა და დაიწყო კონკრეტული მიმართულებების გამიჯვნა: რა კომპეტენციებს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა პირველი წლის განმავლობაში და, ამ კომპეტენციებზე დაშენების პრინციპით, რა კომპეტენციებს განივითარებს მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ. მისი თქმით, კვალიფიკაციებთან დაკავშირებული დოკუმენტიც ვიზიტის შემდგომ დამტკიცდა. დავით ბურჯანაძის განმარტებით, უნარებსა და ცოდნას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არსებობს. პირიქით, პროგრამა ძირითადად კვლევით მიმართულებებს მოიცავს და, მისი შეფასებით, სწორედ ასახავს პროგრამის დაშენების პრინციპს: მეორე წელს კვლევითი მიმართულება ხდება პრიორიტეტული და სტუდენტი სწორედ შესაბამის კომპეტენციებს ავითარებს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა, განემარტათ, როგორი იქნებოდა სტუდენტებისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ განმარტა, რომ არსებული ტურბულენტური პერიოდის გამო დაწესებულებას გარკვეული ცვლილებების განხორციელება მოუწია როგორც პროგრამის კვალიფიკაციასთან, ისე მის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მისი თქმით, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული კვალიფიკაციები ცენტრში უკვე გაგზავნილია და გაზიარებულია. აღნიშნული ფორმულირება განახლებულია მოქმედი ჩარჩოს შესაბამისად. დავით ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურს საბჭომ გაითვალისწინოს სწორედ ეს განახლებული კვალიფიკაციები და არა თავდაპირველად თვითშეფასების ანგარიშში მითითებული კვალიფიკაციები, რომლებიც ძველი მოდელის შესაბამისად იყო წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, რა იყო თავდაპირველად კვალიფიკაციების ძველი მოდელის შესაბამისად მითითების მიზეზი და აინტერესებდა, იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო თუ არა პროგრამა 1+1 მოდელზე გადასვლის შესაბამისად შეცვლილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებამ პროგრამა წარმოადგინა, აღნიშნული მოდელი ჯერ შემუშავებული არ იყო და მისი დამტკიცება უკვე მიმდინარე პროცესში განხორციელდა. შესაბამისად, დაწესებულებას კვალიფიკაციების დაზუსტება მოუხდა. მისი თქმით, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული კვალიფიკაცია ცენტრში გაგზავნილია, განხილულია შიდა კომიტეტზე და დამტკიცებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა თავიდანვე 60+60 კრედიტის პრინციპით იქმნებოდა, ვინაიდან მეორე წელი, ფაქტობრივად, სტუდენტს არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევს. რაც შეეხება სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებისთვის შესაძლო სირთულეებს, ავთანდილ გაგნიძემ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი გასაგებია, რადგან იგი კრედიტების აღიარების წესზეა დამოკიდებული და შეუძლებელია, ყველა პროგრამისთვის ერთი და იგივე მიდგომა მოქმედებდეს. დაწესებულების მოსაზრებით, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებს, პროგრამა კარგად არის შედგენილი. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, რომელიც პერსონალის უფრო აქტიურ ჩართულობას გულისხმობს, ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის ეს მისაღები რეკომენდაციაა. თუმცა, მისი განმარტებით, პროგრამის შექმნის პერიოდში თანამშრომლებისა და ფაკულტეტის წევრების შერჩევის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ზოგიერთი მათგანი ექსპერტთა ჯგუფის პროგრამაზე ვიზიტის დროს მხოლოდ ორი კვირის არჩეული იყო. შესაბამისად, შესაძლოა მათი ჩართულობა პროგრამის შექმნის პროცესში სათანადოდ არ ასახულიყო, თუმცა ისინი სრულად იცნობდნენ პროგრამას და მის შინაარსს.

ექსპერტმა, ალექსანდრე კალანდაძემ განმარტა, რომ სწავლის შედეგი, რომელიც გაღრმავების დონეზე მიიღწევა, უკვე წარმოადგენს კონკრეტულ კომპეტენციას. შესაბამისად, მისი აზრით, შესაძლოა საჭირო იყოს შესაბამისი ფორმულირების ცვლილება, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს, რა ცოდნასა და უნარებს ფლობს სტუდენტი და რას სთავაზობს პროგრამა კურსდამთავრებულს პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ. ასევე მნიშვნელოვანია, რა ინფორმაცია მიეწოდება ამასთან დაკავშირებით დამსაქმებლებს, როდესაც ისინი გაეცნობიან როგორც პროგრამის დოკუმენტს, ისე დიპლომის დანართს, სადაც აღნიშნული კომპეტენციები სიტყვასიტყვით იქნება ასახული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ავთანდილ გაგნიძემ განმარტა, რომ ეს არ არის ორი განსხვავებული პროგრამა, არამედ ერთი პროგრამა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. მისი თქმით, როდესაც მითითებულია, რომ პროგრამის ფარგლებში სულ 13 სწავლის შედეგია, მათგან 8 სრულად მიიღწევა პირველი ნაწილის ფარგლებში. კვლევითი კომპონენტი კი მეორე ეტაპზე გაღრმავებას ითვალისწინებს. ავთანდილ გაგნიძემ აღნიშნა, რომ ტერმინი „გაღრმავება“ არ უნდა იქნეს გაიგივებული „გამტკიცებასთან“. დაწესებულებას განმარტებული აქვს, რას გულისხმობს კონკრეტულად გაღრმავება და, შესაბამისად, მისი შეფასებით, ნებისმიერ დამსაქმებელს შეუძლია აღნიშნული განსხვავების გაგება. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ ეს არ არის ორი განსხვავებული პროგრამა, არამედ ერთი პროგრამაა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება.

საბჭოს წერმა, ფრიდონმა გოგიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და დაინტერესდა, რამ განაპირობა მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემა.

ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ განმარტა, რომ ადგილზე, ბიბლიოთეკაში, გარკვეული რესურსების მოძიება ვერ მოხერხდა. მისი თქმით, ზოგიერთი რესურსი უკვე შესყიდული იყო და დაწესებულებამ მოგვიანებით წარმოადგინა შესაბამისი წიგნები. სწორედ აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, რომ სწავლის დაწყების მომენტისთვის ყველა საჭირო რესურსი შეძენილი და ადგილზე ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა სტუდენტისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაქსიმ იავიჩმა განმარტა, რომ ექსპერტების მიერ კონკრეტული წიგნების მოძიებისას აღმოჩნდა, რომ ორ წიგნთან დაკავშირებით ბიბლიოთეკარს სახელწოდება პროგრამაში ერთი ასო-ბგერის უზუსტობით ჰქონდა შეყვანილი, რის გამოც აღნიშნული წიგნები ვერ მოიძებნა. შემდგომ ექსპერტები სხვა საკითხებზე გადავიდნენ, ხოლო დაწესებულების წარმომადგენლებმა წიგნები დაუყოვნებლივ იპოვეს, ვინაიდან ისინი ხელმისაწვდომი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ განმარტა, რომ დაწესებულების სისტემები არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან Canvas-ის სისტემის მეშვეობით იქნება სინქრონიზებული. შესაბამისად, მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით დაწესებულება, ფაქტობრივად, მუდმივად უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რესურსებით პროგრამის განხორციელების პროცესში. მისი თქმით, პარტნიორი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს როგორც საჭირო მასალების მიწოდებას, ისე შიდა რესურსების მობილიზებას. დავით ბურჯანაძემ ყურადღება გაამახვილა მეორე რეკომენდაციაზეც, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის საკითხს ეხება. მისი შეფასებით, ამ მიმართულებით ბენჩმარკინგის კომპონენტიც დადებითად და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან დაწესებულება საერთაშორისო მიმართულებით 24 უნივერსიტეტთან არის ინტეგრირებული და აღნიშნულ გამოცდილებას არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც იზიარებს, რომელთანაც სტუდენტთა მობილობასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. დავით ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული მიმართულებაც დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა და, შესაბამისად, მისი შეფასებით, იგი რეკომენდაციის საგანი არ უნდა იყოს. მისი აზრით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა როგორც ტექნიკური, ისე დოკუმენტური თვალსაზრისით განსხვავებული ფორმულირების გამოყენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:02

დასრულების დრო: 13:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "ხელოვნური ინტელექტი ბიზნესში" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მეექვსე საკითხი: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ბიზნესის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "გლობალური მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ბიზნესის საინფორმაციო სისტემების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო, "ლიდერობა და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "გლობალური მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და "ბიზნესის ანალიტიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - საერთაშორისო ბიზნესი
- **საფეხური** - ბაკალავრიატი
- **კრედიტების რაოდენობა** - 180
- **სწავლების ენა** - ინგლისური

- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (BBA)

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - გლობალური მენეჯმენტი
- **საფეხური** - ბაკალავრიატი
- **კრედიტების რაოდენობა** - 180
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება** - მენეჯმენტის ბაკალავრი

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის საინფორმაციო სისტემები
- **საფეხური** - ბაკალავრიატი
- **კრედიტების რაოდენობა** - 188
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (BBA)

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ლიდერობა და მენეჯმენტი
- **საფეხური** - მაგისტრატურა
- **კრედიტების რაოდენობა** - 66
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება** - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში (EMBA)

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - გლობალური მენეჯმენტი
- **საფეხური** - მაგისტრატურა
- **კრედიტების რაოდენობა** - 135 კრედიტი, I - 66 კრედიტი; II - 69 კრედიტი
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება:** I - მენეჯმენტის მაგისტრი; II – კვლევის მაგისტრი მენეჯმენტში

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი
- **საფეხური** - მაგისტრატურა
- **კრედიტების რაოდენობა** - 132 კრედიტი, I - 72 კრედიტი; II - 60 კრედიტი
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

- **კვალიფიკაციის დასახელება:** I - ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი; II - კვლევის მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ანალიტიკა
- **საფეხური** - მაგისტრატურა
- **კრედიტების რაოდენობა** - 120 კრედიტი, I - 60 კრედიტი; II - 60 კრედიტი
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება:** I - ბიზნეს-ანალიტიკის მაგისტრი; II - კვლევის მაგისტრი ბიზნეს- ანალიტიკაში

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
სტეფან ვეიტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შვიდი სასწავლო პროგრამა. უნივერსიტეტში ვიზიტი 4–6 მაისს, ჰიბრიდულ ფორმატში განხორციელდა. ექსპერტთა ნაწილი ადგილზე იმყოფებოდა უნივერსიტეტში, ხოლო თავად შეხვედრებში ონლაინ, zoom-ის საშუალებით ჩაერთო. მან მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, ისე უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომლებმაც ექსპერტთა ჯგუფთან ძალიან ეფექტურად ითანამშრომლეს და შექმნეს სასიამოვნო და მეგობრული სამუშაო გარემო. რაც შეეხება რეკომენდაციებს, 1.1 რეკომენდაცია შრომის ბაზრის, კერძოდ, საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევას ეხება. როგორც ცნობილია, უნივერსიტეტს ჰყავს საერთაშორისო სტუდენტები, მათ შორის აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა არ არის ინფორმაცია საერთაშორისო შრომის ბაზრის შესახებ, რაც სტუდენტებს, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდებიან, შესაბამისი საერთაშორისო შრომის ბაზრის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას მისცემდა. მეორე რეკომენდაცია სასწავლო პროგრამის შემუშავებას ეხება. ექსპერტთა ჯგუფმა ძირითადი ყურადღება ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე გაამახვილა. როგორც უნივერსიტეტმა აღნიშნა, აღნიშნული პროგრამა სრულიად ახალია და, შესაბამისად, მისი შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სრულად ვერ განხორციელდა. სწორედ ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფმა

რეკომენდაციის ფორმულირებაში მცირედი ცვლილება შეიტანა. თუმცა, ექსპერტთა მოსაზრებით, სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესში სრულად უნდა იყვნენ ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, ე.წ. „სტეიქჰოლდერები“, მათ შორის დამსაქმებლები, პერსონალი, სტუდენტები და აკადემიური და კვლევითი სფეროს წარმომადგენლები. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას რეკომენდაცია მისცა, პროგრამებში დაემატებინა სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, დასკვნითი პროექტი ან სამაგისტრო ნაშრომი. მართალია, აღნიშნული კომპონენტი არჩევითი საგნის სახით არის წარმოდგენილი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ შესაძლოა სტუდენტმა აღნიშნული კურსი არ აირჩიოს. შესაბამისად, რეკომენდაცია ითვალისწინებდა აღნიშნული კომპონენტის პროგრამის სავალდებულო ნაწილში გათვალისწინებას. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა, რომ მოწვეული პერსონალი სისტემატურად იყოს ჩართული დაწესებულების სისტემური განვითარების ღონისძიებებში, ასევე შესაბამის ადაპტაციურ და პედაგოგიურ ტრენინგებში. აღნიშნული რეკომენდაცია განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ცალკეული მოწვეული პერსონალი უნივერსიტეტში დაახლოებით 20%-იანი სასწავლო დატვირთვით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია მათი უფრო აქტიური ჩართულობა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესსა და საქმიანობაში. სტეფან ვეიტმა ასევე აღნიშნა, რომ განხილვების დასრულების შემდეგ უნივერსიტეტმა წარადგინა ახალი დოკუმენტაცია, რომელიც მარეგულირებელ ცვლილებებს შეესაბამებოდა. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტები მიიღო, თუმცა მათი განხილვა არ განხორციელებულა, ვინაიდან წარმოდგენილი ცვლილებები ახალ სააკრედიტაციო პროცედურებს ითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დასკვნის მიღების შემდგომ ცენტრში წარადგინეს თავიანთი საბოლოო არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც სრულად და უცვლელად არის ასახული აღნიშნულ ტექსტში: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტში შემოსული 2026 წლის 28 ივლისის №986503 წერილის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის, სამაგისტრო პროგრამების (Leadership and Management/ლიდერობადა მენეჯმენტი, Global Management/გლობალურიმენეჯმენტი, Health Care Policy and Management/ჯა ნდაცვისპოლიტიკადამენეჯმენტი, Business-Analytics/ბიზნესის-ანალიტიკა, Executive Master of Business Administration in Management / აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებებით (ბრძანება №89/ნ და ბრძანება №88/ნ) განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განახლებულ/დაზუსტებულ მისანიჭებელი კვალიფიკაციების დასახელებებსა და შესაბამის კოდებს: სწავლის სფეროს კოდი: 0413.2.21 ბიზნეს-ანალიტიკა / Business-Analytics მისანიჭებელი კვალიფიკაციები: ბიზნეს-ანალიტიკის მაგისტრი / Master of Business-Analytics (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შედეგად); კვლევის მაგისტრი ბიზნეს-ანალიტიკაში / Master of Research in Business-Analytics (პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შედეგად). სწავლის სფეროს კოდი: 0413.1.1 მენეჯმენტი / Management მისანიჭებელი კვალიფიკაციები: მენეჯმენტის მაგისტრი / Master of Management (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შედეგად); კვლევის მაგისტრი მენეჯმენტში / Master of Research in Management (პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შედეგად). სწავლის სფეროს კოდი: 0413.2.8 ჯანდაცვის მენეჯმენტი / Health Care Management მისანიჭებელი კვალიფიკაციები: ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი / Master of Health Care Management (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შედეგად); კვლევის მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯმენტში / Master of Research in Health Care Management (პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შედეგად). 1. სწავლის სფეროს კოდი: 0413.1.1 მენეჯმენტი/Management მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აღმასრულებელი ბიზნესის

ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში / Executive Master of Business Administration in Management (პროგრამის სრული კურსის (არანაკლებ 60 კრედიტი) დასრულების შედეგად);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წერმა, თამარ ხურცილავამ დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართა ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებთან დაკავშირებით. მისი თქმით, სილაბუსების საკმაოდ დიდ ნაწილში არ არის მითითებული გასავლელი თავები და ქვეთავები, რომლებიც კონკრეტულმა საგანმა უნდა მოიცვას, ასევე შესაბამისი ინფორმაცია არ არის სრულად წარმოდგენილი ლიტერატურის ნაწილშიც. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და, კერძოდ, რამდენად შეიძლებოდა ეს ტექნიკურ შეცდომად მიჩნეულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ბურჯანაძემ განმარტა, რომ სილაბუსების ფორმატი დაწესებულებაში ძირითადად ხარისხის სამსახურთან კონსულტაციის საფუძველზეა დამტკიცებული და ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში ანალოგიური სტრუქტურა გამოიყენება. მისი თქმით, თავებისა და ქვეთავების ნაწილში ინფორმაციის დეტალიზაციის ხარისხი უშუალოდ ლექტორზეა დამოკიდებული. თუმცა, აღნიშნული გარემოება სტუდენტებისთვის პრობლემას არ ქმნის, ვინაიდან შიდა მენეჯმენტის სისტემა ისეა ორგანიზებული, რომ სტუდენტს ყოველკვირეულად მიეწოდება კონკრეტული მიმართულებები და თავები, რომლებიც უნდა გაიაროს. სასწავლო პროცესის დეტალური დაგეგმვა შესაბამის სისტემაში ხორციელდება და, შესაბამისად, სტუდენტს ზუსტად მიეწოდება ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც მან ყურადღება უნდა გაამახვილოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ზედგინიძემ განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტი ძალიან კონსტრუქციულად წარიმართა და მათი შეფასება ობიექტურად და საქმიანად არის ასახული დასკვნაში. მისი თქმით, წარმოდგენილი პროგრამები არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებია, რომელთა ჰარმონიზაციაც განხორციელდა. მან ასევე აღნიშნა, რომ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაწესებულებას მემორანდუმი არ აკავშირებს და ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატში ხორციელდება. რეალურად, ეს არის სალიცენზიო შეთანხმება, რომელიც ფრანჩაიზინგამდე ერთი ნაბიჯით ადრე მდგომ ფორმატს წარმოადგენს. როგორც სტეფან ვეიტმა აღნიშნა, დაწესებულებას ოთხი რეკომენდაციადაუწერეს. ნათია ზედგინიძემ განსაკუთრებული ყურადღება 1.1 და 1.4 ქვესტანდარტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე გაამახვილა. მისი თქმით, ექსპერტებმა ნაწილობრივ გაიზიარეს დაწესებულების პოზიცია და რეკომენდაციების რეფორმულირებაც განახორციელეს. ვინაიდან აღნიშნული ორი რეკომენდაცია არსებითად ერთსა და იმავე განზომილებას ეხება - საერთაშორისო დამსაქმებლებსა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას - მისი აზრით, შესაძლებელია მათი გაერთიანება და ერთი ფორმულირების სახით მიღება, თუკი საბჭო აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს. ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კონტექსტი დამსაქმებლებთან კონსულტაციების საფუძველზე სათანადოდ არის დასაბუთებული. მისი თქმით, ვინაიდან საუბარია საერთაშორისო დასაქმების ბაზარსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე, წარმოდგენილი ორგანიზაციები და კომპანიები, როგორც ანგარიშშიც არის მითითებული, მოიცავს ისეთ მსხვილ საერთაშორისო კომპანიებს, როგორიცაა „დელოიტი“, რომელიც დიდი ოთხეულის წევრია, „ანდერსენი“, რომელიც „ანდერსენ გლობალის“ წევრია და მსოფლიოს 219-ზე მეტ ლოკაციაზეა წარმოდგენილი, ასევე ყველასთვის ცნობილი კომპანია „ბორჯომი“, რომელიც საერთაშორისო კომპანიად მიიჩნევა, ვინაიდან მისი პროდუქცია 40-ზე მეტ ქვეყანაში ექსპორტირდება. ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის კონტექსტში ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების პარტნიორები არიან „ალადაშვილის“ და „ბალნეოლოგიური“ კლინიკები. როგორც ცნობილია, უნივერსიტეტს ამ ეტაპზე მხოლოდ მედიცინის პროგრამა აქვს და მედიცინის სკოლა წარმატებით ფუნქციონირებს; დაწესებულებამ შესაბამისი ავტორიზაციის

პროცედურებიც წარმატებით გაიარა. მისი თქმით, „ალადაშვილისა“ და „ბალნეოლოგიური“ კლინიკები არა მხოლოდ კლინიკური ბაზის პროვაიდერები, არამედ დაწესებულების თანაპარტნიორები არიან და მათთან ურთიერთობა მხოლოდ მემორანდუმით ან ხელშეკრულებით არ შემოიფარგლება. ნათია ზედგინიძემ ასევე აღნიშნა, რომ, ვინაიდან პროგრამები ჰარმონიზებულია და შესაბამისი საერთაშორისო რეიტინგების სისტემებში მაღალი პოზიციები უკავიათ, ყველა პროგრამისთვის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით უკვე განსაზღვრულია დასაქმების შესაძლო სფეროები და შესაბამისი სახელფასო ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია, რომელიც თითოეული პროგრამის ვებგვერდზეა წარმოდგენილი. დაწესებულების მოსაზრებით, 1.1 და 1.4 რეკომენდაციების გაერთიანება და ერთიანი ფორმულირებით ჩამოყალიბება შინაარსობრივად გამართული იქნება. ნათია ზედგინიძემ ყურადღება ასევე გაამახვილა 4.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე. მისი თქმით, დაწესებულება წარმოდგენილ მოსაზრებას იზიარებს და პროგრამის პრაქტიკული განხორციელების დაწყებისთანავე, საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული პერსონალის ტრენინგი აუცილებლად განხორციელდება. ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, რომ პროგრამების მდგრადობა, პირველ რიგში, აკადემიურ პერსონალზეა დამოკიდებული, რომლის შერჩევაც ღია კონკურსის წესით ხორციელდება. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, მისი თქმით, ეს მუდმივი პროცესია და ეტაპობრივად ხდება მაღალი რანგის პროფესიონალების შერჩევა და დასაქმება. ამასთან, არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობის ერთ-ერთი მოთხოვნაა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის, არამედ ლექტორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის სავალდებულო ონბორდინგის ტრენინგების, ვორქშოფებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. თუმცა, ნათია ზედგინიძის აზრით, როდესაც დაწესებულებას სტუდენტთა სრული კონტინგენტი ეყოლება, აღნიშნულ მიდგომას უნივერსიტეტი სისტემურად და სისტემატურად განახორციელებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა ლიდერობისა და მენეჯმენტის აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის შეფასებისას გაცემული 1.4 რეკომენდაცია. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა 60-კრედიტიანია და როგორც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ისე ზოგადად, მნიშვნელოვნად განსხვავდება სტანდარტული პროგრამებისგან. იგი არ არის აგებული კლასიკური აკადემიური პროგრამების ლოგიკით, ვინაიდან პროფესიულ პროგრამას წარმოადგენს. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ამ პროგრამის კურსდამთავრებული მხოლოდ აღნიშნული პროგრამით მიღებული კვალიფიკაციის საფუძველზე დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას ვერ შეძლებს. მისი თქმით, რეკომენდაცია კვლევით კომპონენტს და მისი სამაგისტრო ნაშრომით, სამაგისტრო პროექტით ან მსგავსი შემაჯამებელი კურსით დასრულებას ეხება. მეორე სამაგისტრო პროგრამა - გლობალური მენეჯმენტი - სწორედ ასეთი სამაგისტრო პროექტით სრულდება, რასაც ექსპერტებიც სამართლიანად აღნიშნავენ. ეკატერინე ნაცვლიშვილის განმარტებით, დაწესებულებამ შეგნებულად და მიზანმიმართულად არ გაითვალისწინა აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის, ე.წ. Executive MBA-ის ფარგლებში შემაჯამებელი ნაშრომი ან კურსი, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის მიზანი კვლევითი უნარების განვითარება არ არის იმ ფორმით, როგორც ეს აკადემიური პროგრამების შემთხვევაში შეიძლება იყოს. ამ პროგრამის ძირითადი შედეგი, რომელიც კურსდამთავრებულმა უნდა მიიღოს, არის განვითარებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესკონსალტინგის, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიზნესპრობლემების გადაჭრის მიმართულებით. ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობის პროცესში გაანალიზდა არაერთი პროგრამა, განსაკუთრებით კი დაწესებულების პარტნიორი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამა, რომელიც აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი საფუძველია. მისი თქმით, პროგრამების უმრავლესობა სრულდება იმავე პრინციპით, როგორც დაწესებულების პროგრამა - კვლევითი უნარები, გადაწყვეტილების მიღების უნარები და

ქეისების ანალიზის უნარები ინტეგრირებულია სხვადასხვა სასწავლო კურსში. მისი განმარტებით, დასკვნაშიც არის აღნიშნული, რომ მერვე სწავლის შედეგი სამ კომპონენტს მოიცავს: პრაქტიკულ-კვლევით კომპონენტს, შედეგების პრეზენტაციასა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. აღნიშნული შედეგების მიღწევა რამდენიმე კურსის ფარგლებში ხორციელდება, მათ შორის ერთი სავალდებულო და ორი არჩევითი-სავალდებულო კურსის საშუალებით. ერთ-ერთი ასეთი კურსია „გლობალური საწარმოს შექმნა“, რომელიც ბიზნესქეისისა და საწარმოს მოდელის ანალიზით სრულდება და მოიცავს კვლევასა და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებას. მეორე არჩევითი-სავალდებულო კურსია „გლობალური კონსალტინგი“, რომელიც ასევე პროექტით სრულდება და გულისხმობს კონკრეტულ ორგანიზაციაში არსებული მმართველობითი პრობლემის კვლევას, შესაბამისი გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებული შედეგების პრეზენტაციას. ეკატერინე ნაცვლიშვილის განმარტებით, პროგრამის კურსდამთავრებული, გარდა ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსებისა, როგორიცაა ციფრული მარკეტინგი, რისკების მართვა, მონაცემთა ანალიზი და ტრანსფორმაცია, სხვადასხვა აქტივობის, ქეისების ანალიზის, პროექტებისა და ბიზნესსიმულაციების საფუძველზე განივითარებს შესაბამის უნარ-ჩვევებს. ამასთან, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ორი კურსიდან ერთ-ერთი - „გლობალური საწარმოს შექმნა“ ან „ორგანიზაციული კონსალტინგი და ანალიზი“ - და წარმოადგინოს შესაბამისი პროექტი ან ბიზნესსაწარმოს მოდელი, რითაც მისი მიღწეული უნარების დადასტურება მოხდება. ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა ერთწლიანია. ამასთან, კლასიფიკატორში შეტანილი ახალი ცვლილებების საფუძველზე, 120-კრედიტიანი პროგრამებიც კი ორ ნაწილად გაიყო. პირველი ნაწილი, რომელიც მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭებას ითვალისწინებს, სრულდება პრაქტიკული უნარების განვითარებით, ხოლო კვლევითი უნარები ძირითადად კონცენტრირებულია მეორე ნაწილში, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს კვლევის მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება. შესაბამისად, პირველ წელს სტუდენტს პროფესიული მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება, ხოლო მეორე წელს - კვლევის მაგისტრის კვალიფიკაცია.
მისი შეფასებით, ამ ლოგიკით ექსპერტების მიერ შემოთავაზებული მიდგომა საინტერესოა და პროცესს გარკვეულწილად გაამარტივებდა, ვინაიდან ყველა კომპონენტი ერთი კურსით შეჯამდებოდა. თუმცა, აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება და სცდება იმ ტრადიციულ მიდგომებს, რომლებიც Executive MBA პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება. პროგრამის გუნდის მიზანი იყო, კვლევითი კომპონენტი უფრო ინტეგრირებულად წარმოედგინა და კვლევის, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის ანალიზისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები იმ საკვანძო კურსებში ჩაეშალა, სადაც სხვადასხვა კურსის შედეგების შეფასებისას მათი მრავალფეროვანი გამოვლენა იქნებოდა შესაძლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს იმ კონტინგენტს, რომელზეც პროგრამაა გათვლილი. როგორც დასკვნაშიც არის მითითებული, პროგრამის სტუდენტი უნდა იყოს მინიმუმ ხუთი წლის გამოცდილების მქონე და ადმინისტრაციულ პოზიციაზე მომუშავე პირი, რომლის უმთავრესი მიზანია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცება მმართველობითი კვლევის სფეროში, ბიზნესპრობლემებთან გამკლავება და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება.

ექსპერტმა, სტეფან ვეიტმა განმარტა შრომის ბაზართან დაკავშირებული საკითხი. მისი თქმით, დაწესებულებას ნამდვილად ჰყავს საერთაშორისო პარტნიორები და ექსპერტთა ჯგუფმა ეს გარემოება ვიზიტის დროსაც დაადასტურა. თუმცა, მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რომელი ქვეყნების წარმომადგენლები არიან ძირითადად დაწესებულების სტუდენტები - ინდოეთის, ბანგლადეშისა და პაკისტანის. მისი თქმით, აღნიშნული ქვეყნები დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კვლევაში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, როდესაც სტუდენტები საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდებიან, მათ შესაძლოა ნაკლები ცოდნა და

ინფორმაცია ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რომელ კომპანიებთან შეუძლიათ თანამშრომლობა ან რა სახელფასო განაკვეთებია მათთვის ხელმისაწვდომი. სტეფან ვეიტმა აღნიშნა, რომ, მართალია, „ბორჯომი“ პროდუქციას 40 ქვეყანაში ექსპორტირებს, თუმცა ამ ქვეყნებს შორის პაკისტანის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა. მისი თქმით, შესაბამისად, მხოლოდ აღნიშნული მაგალითით საერთაშორისო შრომის ბაზრის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა რთულია.
რაც შეეხება მეორე საკითხს, სტეფან ვეიტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტებს, რომლებიც, მისი შეფასებით, საკმაოდ ღრმა და სიღრმისეულია. თუმცა, ეს კომპონენტი არ გულისხმობს ე.წ. „კაპსტოუნ“ პროგრამას, როგორიც, მაგალითად, ბიზნესის ანალიზია. მისი თქმით, მერვე სწავლის შედეგის გათვალისწინებით, რომელიც სტუდენტის მიერ ბიზნესის ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას მოიაზრებს, აღნიშნული შედეგის სრულად მიღწევა საკმაოდ რთულია იმ პროექტისა და სასწავლო პროცესის ფარგლებში, რომელსაც დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს.

საბჭოს წერმა, თამარ ხურცილავა დაუბრუნდა საკუთარ თავდაპირველ კითხვას, რომელსაც დავით ბურჯანაძემ უპასუხა. ამასთან, მან რჩევის სახით დაამატა, რომ მხოლოდ კვირის დასაწყისში სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რა მასალები უნდა გაიაროს, არ არის საკმარისი. მისი აზრით, თავად სილაბუსში წინასწარ უნდა იყოს მკაფიოდ გაწერილი ის თემები და საკითხები, რომლებსაც კონკრეტული კურსი ფარავს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ზედგინიძემ განმარტა, რომ ქართულენოვანი სილაბუსები წარმოდგენილია მოკლე ვერსიის სახით, ხოლო ინგლისურენოვანი სილაბუსები - სრული ფორმით.

საბჭოს წერმა, თამარ ხურცილავამ აღნიშნა, რომ მსგავსი ფორმით იყო წარმოდგენილი ინგლისურენოვანი სილაბუსებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ზედგინიძემ ასევე განმარტა კვალიფიკაციებთან დაკავშირებული საკითხი. მისი თქმით, 7 ივლისის №188 ბრძანება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით ინგლისური ფორმულირების დაზუსტების სახით შემოვიდა და, შესაბამისად, დაწესებულებამ განახლებული კვალიფიკაციების გათვალისწინებით შესაბამისი შუამდგომლობა წარმოადგინა. ამასთან, დეტალური სწავლის სფეროს კოდები არ შეცვლილა; შეიცვალა მხოლოდ ფორმულირება. მისი განმარტებით, აღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში განხორციელდა, როდესაც ექსპერტები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ და, შესაბამისად, ფიზიკური ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული გარემოების გათვალისწინება ვერ მოხერხდებოდა. ნათია ზედგინიძემ ასევე აღნიშნა, რომ 4.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებული შეფასება, სადაც მხოლოდ ერთი შესაბამისობაა დაფიქსირებული, შესაძლოა ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდეს. მისი თქმით, მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობის შეფასებას ითვალისწინებს, რადგან, როდესაც ორი ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისია, შესაბამისი სტანდარტიც მეტწილად შესაბამისობად განიხილება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:52
დასრულების დრო: 13:57

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ბიზნესის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "საერთაშორისო ბიზნესის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „გლობალური მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე - 2 3
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „გლობალური მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ბიზნესის საინფორმაციო სისტემების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ი ს		**შ ე დ ე გ ი :**
მ ო მ ხ რ ე	-	2 3
წინააღმდეგი - 0		

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ბიზნესის საინფორმაციო სისტემების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ლიდერობა და მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ლიდერობა და მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „გლობალური მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „გლობალური მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ბიზნესის ანალიტიკის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის „ბიზნესის ანალიტიკის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მეშვიდე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)
- **საფეხური** - საბაკალავრო
- **კრედიტების რაოდენობა** - 200
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება** - შპს კავკასიის უნივერსიტეტი - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი ბიზნეს ანალიტიკასა და მონაცემთა მეცნიერებაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი
თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტის, თამაზ უზუნაშვილის განმარტებით, ბიზნესის ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების სამწლიანი ერთობლივი პროგრამა ხორციელდება ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ბიზნესის ადმინისტრირება. პროგრამა სამწლიანია და მოიცავს 200 კრედიტს. პროგრამა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, სწავლის პირველი ორი წელი კავკასიის უნივერსიტეტში გაატარონ და 150 კრედიტი დააგროვონ, ხოლო მესამე, დასკვნითი სასწავლო წელი ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტში გააგრძელონ და 50 კრედიტი მოიპოვონ. კავკასიის უნივერსიტეტში შესაბამისი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტები მესამე, დასკვნითი სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრიდან გაემგზავრებიან ნიუ ჯერსიში, სადაც სასწავლო კურსები დასწრებული ფორმატით განხორციელდება. სასწავლო კურსების წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს მიენიჭებათ შესაბამისი აკადემიური ხარისხები: კავკასიის უნივერსიტეტის მიერ - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი, ხოლო ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტის მიერ - ბიზნესის ანალიტიკისა და მონაცემთა ბაკალავრის ხარისხი. თამაზ უზუნაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი 2026 წლის 17 აპრილს, ჰიბრიდულ ფორმატში განხორციელდა. ვიზიტს ყველა ექსპერტი ესწრებოდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შეხვედრებში ონლაინ ფორმატით მონაწილეობდა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, ხუთივე სტანდარტი მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ექვსი რჩევა და პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ გაუცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სბაჭოს წერს, მაია ბარბაქაძეს აინტერესებდა, რას გულისხმობდა პროგრამის სახელწოდებაში მითითებული „მონაცემთა მეცნიერება“ და ხომ არ იქნებოდა „მონაცემთა ბაზები“ უფრო შესაფერისი ფორმულირება.
ექსპერტმა, თამაზ უზუნაშვილმა განმარტა, რომ მონაცემთა მეცნიერების მიმართულება 2005 წლიდან ჩამოყალიბდა და დღესდღეობით საკმაოდ პოპულარულია. მისი თქმით, აღნიშნული

მიმართულება ძირითადად ინტელექტუალურ მონაცემთა ანალიზს, ე.წ. „Big Data“, ანუ დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებასა და მათ საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას გულისხმობს.
მისი განმარტებით, მონაცემთა მეცნიერების განვითარება, ერთი მხრივ, კომპიუტერული სიმძლავრეების სწრაფმა განვითარებამ, ხოლო, მეორე მხრივ, ე.წ. „Enterprise“ სისტემების დანერგვამ განაპირობა, რომლებიც დიდი მოცულობის მონაცემებს წარმოქმნიან. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა იმ სტატისტიკური მოდელების დამუშავება და გამოყენება, რომელთა დამუშავებაც გასულ საუკუნეში არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობებით ვერ ხერხდებოდა.
თამაზ უზუნაშვილის თქმით, მონაცემთა მეცნიერება დღეს თითქმის ყველა სფეროშია ინტეგრირებული, მათ შორის მედიცინაში, ბიოლოგიაში, ბიზნესის ადმინისტრირებასა და სხვა მიმართულებებში. რაც შეეხება ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროგრამას, მისი განმარტებით, პროგრამის მესამე წელი პრაქტიკულად მთლიანად მონაცემთა მეცნიერებას ეთმობა. აღნიშნულ კომპონენტში სრულად არის წარმოდგენილი მონაცემთა დამუშავება, მონაცემთა ანალიზი, მანქანური სწავლება და სხვა შესაბამისი მიმართულებები.
თამაზ უზუნაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მონაცემთა მეცნიერება არ უნდა იქნეს გაიგივებული მონაცემთა ბაზებთან. მისი განმარტებით, მონაცემთა ბაზები, როგორიცაა „Oracle“, „IBM“ და სხვა სისტემები, ძირითადად მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებასა და მათ გამოყენებაზე დაფუძნებული პროგრამების დეველოპმენტს უკავშირდება. მონაცემთა დამუშავება კი ცალკე სამეცნიერო მიმართულებაა და მისი მონაცემთა ბაზებთან გაიგივება არასწორი იქნებოდა.
მისი თქმით, მონაცემთა მეცნიერება კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებიდან განვითარდა და, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად მონაცემთა ბაზებთანაც არის დაკავშირებული, იგი დამოუკიდებელ მიმართულებას წარმოადგენს. ამ სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელოვნურ ინტელექტს და მონაცემთა საფუძველზე თვითგანვითარებად ანალიზს.
ექსპერტი, პეტრე ბაბულია დაეთანხმა თამაზ უზუნაშვილის განმარტებას და აღნიშნა, რომ მონაცემთა ბაზები სრულიად განსხვავებული მიმართულებაა. მისი თქმით, მონაცემთა მეცნიერება ძირითადად იყენებს ალბათობის თეორიასა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს და მისი გამოყენება უფრო მეტად ხელოვნური ინტელექტისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებს უკავშირდება.
საბჭოს წერს, მაია ბარბაქაძეს ასევე აინტერესებდა, ვისი ხარჯებით ხდებოდა სტუდენტების ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნა, სადაც ისინი პროგრამით გათვალისწინებულ 50 კრედიტს აითვისებენ.
ელენე ჯღარკავამ განმარტა, რომ კავკასიის უნივერსიტეტს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელების ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი პარტნიორია და, მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტნიორობა შედარებით ახალია, იგი კავკასიის უნივერსიტეტისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. აღნიშნულ უნივერსიტეტთან დაწესებულება უკვე რამდენიმე ერთობლივ საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს.
მისი თქმით, მიმდინარე აკადემიურ წელს, შრომის ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით, კავკასიის უნივერსიტეტმა კიდევ რამდენიმე საბაკალავრო პროგრამა დაამატა, რომელთაგან ერთ-ერთია ბიზნესის ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების პროგრამა.
ელენე ჯღარკავას განმარტებით, როგორც თამაზ უზუნაშვილმა აღნიშნა, სტუდენტები სწავლის პირველ ორ წელს კავკასიის უნივერსიტეტში ატარებენ, ხოლო მესამე სასწავლო წელს პარტნიორ უნივერსიტეტში მიემგზავრებიან, სადაც გადიან პროგრამით გათვალისწინებულ 50 კრედიტს და შესაბამის სასწავლო კურსებს. სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ერთობლივი ხარისხები ენიჭებათ.

ელენე ჯღარკავას განცხადებით, ადმინისტრაციული ხარჯები, მათ შორის მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები, სწავლის საფასურში არ შედის. სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური მოიცავს მხოლოდ სწავლის ღირებულებას, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებასა და ცხოვრებასთან დაკავშირებულ დანარჩენ ხარჯებს თავად სტუდენტი ფარავს.
მისი თქმით, ამავე პრინციპით დაწესებულება უკვე ხუთი წელია წარმატებით ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას საფრანგეთის ბიზნესის სკოლასთან თანამშრომლობით.
მაია ბარბაქაძეს აინტერესებდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას ისეთი სტუდენტები, რომლებიც პარტნიორ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად უკვე გაემგზავრნენ.
ელენე ჯღარკავას განმარტებით, აღნიშნული პროგრამა დაწესებულებაში უკვე ხუთი წელია ფუნქციონირებს და, შესაბამისად, 2026 წლისთვის კავკასიის უნივერსიტეტს უკვე ჰყავდა მეორე გამოშვების სტუდენტები, რომლებმაც საფრანგეთთან თანამშრომლობით განხორციელებული ერთობლივი პროგრამა დაასრულეს.
რაც შეეხება ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტს, ელენე ჯღარკავამ განმარტა, რომ დაწესებულებას აღნიშნულ უნივერსიტეტთან კიბერუსაფრთხოების მიმართულებითაც ჰქონდა პარტნიორობა. შესაბამისად, ამ მიმართულებითაც ჰყავს კავკასიის უნივერსიტეტს კურსდამთავრებულები, რომლებიც ნიუ ჯერსის სიტის უნივერსიტეტში გაემგზავრნენ და სწავლა წარმატებით დაასრულეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:11
დასრულების დრო: 14:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) ბიზნეს ანალიტიკისა და მონაცემთა მეცნიერების 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მერვე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის - NJCU (აშშ) "მედიახელოვნების" 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება -** მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ);
- **საფეხური -** ბაკალავრიატი;
- **კრედიტების რაოდენობა -** 200;
- **სწავლების ენა -** ინგლისური;
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი -** 0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
- **კვალიფიკაციის დასახელება -** შპს კავკასიის უნივერსიტეტი - მედიახელოვნების ბაკალავრი; ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტი - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მედიახელოვნებაში;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი
თვითაცილება განაცხადა გიორგი წანაწყენიშვილმა დაწესებულებასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
კოსტას მონტზალოსმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ადგილზე 16 აპრილს შედგა და ჯგუფმა სრულად დაიცვა ცენტრის მიერ განსაზღვრული და შეთავაზებული პროცედურები. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ერთობლივ პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ ჯერსის უნივერსიტეტთან, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებისა და საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო გონივრულად გადაანაწილა. ბატონი კოსტასის განცხადებით, თავადაც ონლაინ ფორმატში ესწრებოდა აღნიშნულ ვიზიტს.

მისი განმარტებით, წარმოდგენილი კურიკულუმი თანამედროვე მიდგომებზეა დაფუძნებული და ეფუძნება პროცესზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ფილოსოფიას, რაც სტუდენტებისთვის მედიახელოვნების სფეროში მრავალმხრივი და ხარისხიანი განათლების მიღების საფუძველს ქმნის. პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სასწავლო კომპონენტებს, რომლებიც წარმატებით აერთიანებს ტრადიციულ მხატვრულ საფუძვლებს თანამედროვე ციფრულ პრაქტიკებსა და შემოქმედებით ტექნოლოგიებთან.
კოსტას მონტზალოსმა აღნიშნა, რომ პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს, ვინაიდან იგი კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას აძლევს, შეიძინონ მრავალმხრივი ცოდნა და განივითარონ ტრანსფერული უნარები, რომლებიც თანამედროვე შემოქმედებით ინდუსტრიაში განსაკუთრებით მოთხოვნადია.
იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის მასშტაბისა და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მის შიდა ლოგიკაზე, სასწავლო დატვირთვის ოპტიმალურ განაწილებასა და სწავლის ეტაპობრივი პროგრესის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, სასწავლო გეგმის სისტემური მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა აუცილებელია იმისთვის, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები თანმიმდევრულად და სრულყოფილად იქნეს მიღწეული.
შეფასების პროცესში განხილული დოკუმენტაციის, უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტისა და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული შეხვედრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ მედიახელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის ყველა სტანდარტის მოთხოვნას აკმაყოფილებს.
კოსტას მონტზალოსმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გარკვეული რჩევები წარუდგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სამჭოს წერმა, შალვა კელაპტრიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შედგება ძირითადი სასწავლო კურსების, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტებისგან. თავის მხრივ, თავისუფალი კომპონენტი მოიცავს როგორც ძირითად, ისე არჩევით საგნებს. აღნიშნულ პროგრამაში თავისუფალი კომპონენტი 35 კრედიტს შეადგენს და, ფაქტობრივად, სტუდენტს არჩევანის შესაძლებლობა არ აქვს. მისი განმარტებით, თავისუფალი კომპონენტის მიზანია სტუდენტის მსოფლმხედველობის განვითარება, თუმცა მოცემულ პროგრამაში ამ კომპონენტში შემავალი ყველა საგანი სავალდებულოა. შესაბამისად, მას აინტერესებდა, რამდენად გამართლებულია აღნიშნული მიდგომა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ერთობლივია და, შესაბამისად, იგი შემუშავდა როგორც საქართველოს, ისე პარტნიორი უნივერსიტეტის საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებითა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მისი თქმით, აღნიშნულ ნაწილს საქართველოს კლასიფიკატორის მიხედვით „თავისუფალი კომპონენტი“ ეწოდება, თუმცა მასში შეთავაზებული სასწავლო კურსები მიმართულია ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. ამასთან, პროგრამის სხვა ნაწილში წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთა არჩევის შესაძლებლობაც სტუდენტს აქვს. შესაბამისად, არჩევითობა პროგრამის სხვა კომპონენტებშია უზრუნველყოფილი. დიანა მჭედლიშვილის განცხადებით, პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა არა მხოლოდ დაწესებულების, არამედ პარტნიორი უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, იმ მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად, რომელთა მიღწევისკენაც არის პროგრამა მიმართული. მისი განმარტებით, ეს ერთობლივი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟიჟილაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის მესამე წელი ფიქსირებულია და სრულად ნიუ ჯერსიში ხორციელდება. დაწესებულებას აღნიშნული სასწავლო წლის განხორციელებაში ცვლილებები არ შეუტანია, მით უმეტეს, რომ, მისი თქმით, ექსპერტებს პარტნიორი უნივერსიტეტის კურიკულუმთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამთ. რაც შეეხება პროგრამის პირველ და მეორე წლებს, ნინო ჟიჟილაშვილმა აღნიშნა, რომ არჩევითი კრედიტების წილი დიდი არ არის, თუმცა გათვალისწინებულია 15 არჩევითი კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს. მისი განმარტებით, დაწესებულებას პროგრამაში არჩევითი კომპონენტი ნამდვილად აქვს წარმოდგენილი, თუმცა იგი ფართოდ არ არის მოცემული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი სალუქვაძემ განმარტა, რომ არჩევითი სასწავლო კურსები პარტნიორ ამერიკულ უნივერსიტეტთან შეთანხმებით და განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩა. პროგრამაში გათვალისწინებულია 15 არჩევითი კრედიტი, განსაკუთრებით მეორე სასწავლო წელს. მისი თქმით, დაწესებულებამ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტმა, მის მიერ არჩეული ნებისმიერი არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში, სრულად აითვისოს პროგრამაში ჩადებული კონცეფცია.

საბჭოს წერს, ეკატერინე ჭალაგანიძეს აინტერესებდა, რა ინოვაციურ მეთოდებს იყენებდა თითოეული დაწესებულება აღნიშნული საინტერესო პროგრამის განხორციელების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი სულაქვაძემ განმარტა, რომ პროგრამა ინტერდისციპლინური ხასიათისაა. მისი თქმით, დაწესებულებამ სამწლიანი პროგრამების განხორციელება შედარებით ადრე დაიწყო და 2025 წელს ქართულენოვან პროგრამას - ციფრულ კომუნიკაციებსა და მედიახელოვნებას - აკრედიტაცია წარმატებით გაუვლია. გიორგი სულაქვაძემ აღნიშნა, რომ მედიახელოვნების პროგრამები მსოფლიოში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, რადგან აღნიშნული მიმართულება ერთ კონკრეტულ პროფესიაზე არ არის ორიენტირებული. მისი თქმით, პროგრამა არ არის მიმართული კონკრეტულად კინორეჟისორის, კინოსცენარისტის ან მხატვრის მომზადებაზე. იგი ინტერდისციპლინური ხასიათისაა და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რათა მათ შემდგომში შეძლონ შემოქმედებით ინდუსტრიებში ადვილად ინტეგრირება. მისი განმარტებით, ნიუ ჯერსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა დაწესებულებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უნივერსიტეტში საკმაოდ ძლიერი ციფრული კომპონენტი და შესაბამისი ტექნიკური ბაზაა. ამასთან, ნიუ ჯერსის უნივერსიტეტს აქვს ისეთი უნიკალური შესაძლებლობები, როგორიცაა, მაგალითად, 16-მილიმეტრიან ფირზე გადაღება და მონტაჟი. აღნიშნული შესაძლებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას მოითხოვს და წარმოადგენს განსაკუთრებით ღირებულ რესურსს, რომელიც დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს. გიორგი სულაქვაძის განცხადებით, სწორედ ამიტომ პროგრამის მესამე წელს კინოსა და მედიასთან დაკავშირებული მიმართულებები უფრო დაბალანსებულად არის წარმოდგენილი. რაც შეეხება პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მისი განმარტებით, სტუდენტი კრეატორის ფუნქციისა და შესაბამისი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული იქნება. გიორგი სულაქვაძემ აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში კრეატორის საჭიროება თითქმის ყველა სფეროში არსებობს, განსაკუთრებით იმ მიმართულებებში, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა პროდუქტს და საჭიროებენ საზოგადოებისთვის საკუთარი საქმიანობისა და პროდუქტის ეფექტიანად მიწოდებას. მისი თქმით, მაგალითად, რეკლამის შექმნისთვის ტრადიციულად საჭირო იყო გადამღები ჯგუფი, სცენარისტი, მკვლევარი და სხვა სპეციალისტები, მაშინ როდესაც კრეატორის კომპეტენციებში აღნიშნული უნარები ერთიანდება. მისი განმარტებით, კლასიკური შემოქმედებითი სასწავლო კურსები, როგორიცაა ხატვა და სამსახიობო ოსტატობა, სტუდენტს, პირველ რიგში, შემოქმედებით აზროვნებასა და შესაბამისი უნარების განვითარებაში ეხმარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:29
დასრულების დრო: 14:32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის - NJCU (აშშ) "მედიახელოვნების" 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032).

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის - NJCU (აშშ) "მედიახელოვნების" 3-წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ) მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე.
დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

მეცხრე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - ბიზნესის ადმინისტრირება
- **საფეხური** - ბაკალავრიატი
- **კრედიტების რაოდენობა** - 180
- **სწავლების ენა** - ინგლისური
- **დეტალური სფეროს დასახელება და კოდი** - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
- **კვალიფიკაციის დასახელება -** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მიკუს დუბიკის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის არგუმენტაცია, სასწავლო კურსების სილაბუსები, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, პერსონალის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დამატებითი მტკიცებულებები და 2026 წლის 22 მაისს განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია. განხილულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამა მთლიანობაში აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ინგლისურენოვან, პირველი საფეხურის ახლად შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს 180 კრედიტს. მისი მიზანია კურსდამთავრებულთა მომზადება თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო კომპეტენციებით, მათ შორის, მენეჯმენტის, ფინანსების, მარკეტინგის, ანალიტიკის, ლიდერობის, კომუნიკაციის, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების, ციფრული ტექნოლოგიებისა და მონაცემებზე დაფუძნებული ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებებით. მიკუს დუბიკის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მოთხოვნებთან შესაბამისობაში შეაფასა. მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისებისა და შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ასევე შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, და მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობა - მოთხოვნებთან შესაბამისობაში შეფასდა. მისი განმარტებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები რელევანტურია, ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და სრულ შესაბამისობაშია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან, სწავლების საფეხურთან, უნივერსიტეტის მისიასა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან. პროგრამა მკაფიოდ არის ორიენტირებული ინტერნაციონალიზაციაზე, ციფრულ ტრანსფორმაციაზე, ანალიტიკურ მიდგომებზე, ინოვაციებსა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ბიზნეს განათლებაზე. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე მიმართულება, რომლებიც შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს. ძირითადი საკითხები ეხება პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, ასევე სწავლა-სწავლების მეთოდებსა და შეფასების საკითხებს შორის უფრო მჭიდრო და თანმიმდევრული შესაბამისობის უზრუნველყოფას. ასევე, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასებისა და სწავლის უზრუნველყოფის პრინციპების უფრო მკაფიო და პრაქტიკაში განხორციელებადი წესით დანერგვა. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღნიშნა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სისტემური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერების, აგრეთვე საერთაშორისო სტუდენტების აკადემიური, ენობრივი, კულტურული და სხვა დამხმარე საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მექანიზმების

გაუმჯობესების აუცილებლობა. ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პროგრამის განხორციელებაში, განვითარებასა და ხარისხის უზრუნველყოფაში აფილირებული აკადემიური პერსონალის უფრო აქტიურ ჩართულობაზე. ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნია მოწვეული ლექტორების საქმიანობის უფრო აქტიური მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა, უწყვეტობა და სტაბილურობა. მთლიანობაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამას გააჩნია განხორციელებისთვის საკმარისი საფუძველი და, საერთო ჯამში, აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს. ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი გაძლიერებისა და განვითარებისთვის, როგორც მის ამოქმედებამდე, ისე მისი განხორციელების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ირმა გრძელიძის განმარტებით, დაწესებულებამ ჩათვალა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია შეიძლება რჩევად იყოს განხილული. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ აკნინებს დასკვნის ღირებულებას და ექსპერტების ძალიან კონსტრუქციულ თანამშრომლობას დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (01/03/2032) ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 23
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალტე უნივერსიტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 01 მარტამდე ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.

2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულებამ დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2026 წლის 31 ივლისიდან. საბჭომ დააკმაყოფილა უსდ-ს მიერ დაყენებული შუამდგომლობა.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე